ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

N 193/01
08/01/2020

193-01-2-202001081527

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს პირველ მოადგილეს
ქალბატონ ნანა ზამთარაძეს

ქალბატონო ნანა,

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2019 წლის 24 დეკემბრის განცხადება, რომელიც ეხება მესტიის მუნიციპალიტეტში, სოფელ ლაგამის მიმდებარე ტერიტორიაზე, სასარგებლო წიაღისეულის, ნახშირმჟავიანი მინერალური წყლის, მოპოვების პროექტს.

გაცნობებთ, რომ გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის II დანართის 2.2 პუნქტის თანახმად, სკრინინგის პროცედურას ექვემდებარება სასარგებლო წიაღისეულის მიწისქვეშა მოპოვება (მათ შორის, მიწისქვეშა მტკნარი წყლის სამეწარმეო მიზნით მოპოვება), როდესაც მოსაპოვებელი რესურსის მოცულობა წელიწადში 100 000 $м^3$-ზე მეტია. თქვენს მიერ წარმოდგენილი განცხადების საფუძველზე (დღე-ღამეში 285$м^3$ მოცულობის ნახშირმჟავიანი მინერალური წყლის მოპოვება), ვერ დგინდება მოსაპოვებელი რესურსის წლიური მოცულობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- ინფორმაცია ნახშირმჟავიანი მინერალური წყლის მოპოვების წლიური მოცულობის შესახებ;
- ინფორმაცია სამუშაო გრაფიკის შესახებ (სამუშაო დღეების რაოდენობა წელიწადში; სამუშაო საათების რაოდენობა დღეში);
- ინფორმაცია უახლოეს მოსახლესთან დაშორების მანძილის შესახებ;
- ინფორმაცია მოპოვების შედეგად გამოწვეული ხმაურის (დბა) შესახებ;
- ინფორმაცია საქმიანობასთან დაკავშირებული რისკების შესახებ.

სამინისტრო სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით დაზუსტებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

პატივისცემით,

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ./ფაქსი: +(995 32) 2378013
www.moa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone/Fax:+(995 32) 2378013

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე